

ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრა საქართველოსა და  
ევროკავშირის რიგი ქვეყნების მაგალითზე,  
შედარებით - სამართლებრივი კვლევა

თამთა დევდარიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო  
(ბიზნეს) სამართლის სკოლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ მამფორია, სამეწარმეო სამართლის მაგისტრი  
(LLM) როტერდამის უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

თამთა დევდარიანი

2019 წელი

## აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიომ პრაქტიკულად შეძლო და თითქმის მიაღწია განვითარების უმაღლეს ნიშნულს. ამ განვითარებისა და ზრდის ტემპმა, თავის მხრივ, სამართლებრივი სამყაროსაგან ფეხის აწყობა მოითხოვა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა, რომლის წინაშეც, სამართლებრივი თვალსაზრისით, დღევანდელი მსოფლიო დგას და რომელსაც წინამდებარე ნაშრომი ეთმობა, სახელმეკრულებო სამართალია, უფრო კონკრეტულად, სახელმეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის მომენტის განსაზღვრა/დადგენა.

ადამიანები ყოველდღიურად დებენ სხვადასხვა ხელმეკრულებებს, ისინი არც იყენებენ და არც იცნობენ არავითარ იურიდიულ ტერმინოლოგიას, ამიტომ მათი აღქმები და მოლოდინები, მხოლოდ მათ წარმოდგენებს ეყრდნობა. მნიშვნელოვანია, რომ ამ წარმოდგენებმა და აღქმებმა ასახვა მოიპოვონ კანონში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლი განმარტავს, რომ სახელმეკრულებო ვალდებულების წარმოშობისათვის მხარეთა შორის ხელმეკრულების არსებობაა საჭირო. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის ხელმეკრულების დადების მომენტი სადაო გახდება, ვერ განხორციელდება იმ ვალდებულებების დროული შესრულება, რომლებსაც ეს ხელმეკრულება წარმოშობს. ასევე, შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარის მიერ ხელმეკრულება დადებულად ჩაითვლება, მან ქმედებების განხორციელება დაიწყოს, მაშინ, როდესაც ამის ვალდებულება არ აქვს.

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც განხილული იქნება ნაშრომში, კარგად ასახავს პრობლემას. სახელმეკრულებო ურთიერთობებში ჩართულ პირთა უმეტესობა, რომელთაც არ აქვთ იურიდიული განათლება, ერთმანეთისგან ვერ მიჯნავენ სახელმეკრულებო ურთიერთობას და წინარე სახელმეკრულებო ურთიერთობას. შესაბამისად, მოთხოვნები, რომლითაც ისინი სასამართლოს მიმართავენ აცდენილია მათთვის კანონით მინიჭებული უფლებებისაგან. მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს ერთმანეთის წინაშე მათი ურთიერთობის ეტაპები განსაზღვრავენ. ამიტომ, მნიშვნელოვანია მხარეებმა კარგად იცოდნენ რა ეტაპზეა

მათი ურთიერთობა და არის თუ არა საერთოდ მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა წარმოშობილი.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტს ეხება, განმარტავს, რომ ხელშეკრულება მხოლოდ მას შემდეგ ითვლება დადებულად, როდესაც მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან. 329.1 მუხლი ხელშეკრულების დადების გზად ოფერტის (შეთავაზების) და აქცეპტის (თანხმობის) გზას ასახელებს, ისევე, როგორც, კონტინენტური ევროპის პრაქტიკულად ყველა ქვეყანა. თუმცა, კოდექსი არ განმარტავს რა ქმედება შეიძლება იყოს მიჩნეული აქცეპტად, ოფერტს კი მხოლოდ, როგორც შეთავაზებას ისე განმარტავს. ასევე, ბუნდოვანია რას გულისხმობს კანონმდებელი არსებით პირობებში, როდესაც ასეთი პირობები მხარეებისათვის სხვადასხვა და ამოუწურავი შეიძლება იყოს.

ხელშეკრულების დადების ტექსტის უფრო დაწვრილებით წარმოჩენის და ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტის განსაზღვრის მიზნით, ნაშრომში მიმოხილულია გერმანიის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსების ნორმები. ასევე, გაანალიზებულია ამ კოდექსების მიმართება საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან. მიმოხილულია პრაქტიკული კვლევები, რომლებიც პენსილვანიის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ჩაატარეს. მოხმობილია სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც დოქტრინალური მიდგომისგან განსხვავებულ გზებს ირჩევენ და ამტკიცებენ, რომ ადამიანთა აღქმებს და მოლოდინებს, საკითხის მიმართ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ასევე, საუკეთესო პრაქტიკის გაანალიზების მიზნით, განხილულია პეკლითა და უნიდროას პრინციპებით გათვალისწინებული წესები.

ნაშრომი ცდილობს გასცდეს დოქტრინალურ მიდგომებს ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტთან დაკავშირებით და ეს საკითხი გაანალიზოს ადამიანების ფსიქოლოგიური დამოკიდებულებების გათვალისწინებით. სახელშეკრულებო სამართალი იმდენად ცოცხალი ორგანიზმია, რომ მისი განხილვა ადამიანთა სუბიექტური მოლოდინების გარეშე შეუძლებელია.

მთავარი საძიებო სიტყვები: სამოქალაქო კოდექსი, სახელშეკრულებო სამართალი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა, ადამიანთა მოლოდინები.

## Abstract

Modern world has reached the highest level of development that requires from the legal discipline to keep up with its speed. From the legal perspective, one of the most important challenges that today's world is facing and what is discussed in this thesis appears to be the contract law and particularly, the determination of a very moment of contract formation.

Every day, people enter into contracts based on their perceptions, experiences and expectations and often they do not have sufficient understanding of legal terms. It is important that these perceptions and expectations being reflected on legal norms. Article 317.1 of the Civil Code of Georgia stipulates that contract liability is based solely on contract between the parties. In case the parties dispute on the moment of formation of the contract then obligation will not fulfilled in time. It is also possible that a party which considers a contact already formed to start voluntarily executing certain actions that is not obliged by the contract.

The legal practice of the Supreme Court of Georgia that is broadly discussed in this thesis, well explains the core of the problem. The majority of people without legal education who are involved in contractual relations are not able to differentiate between contractual and pre-contractual relations. Therefore, requirements they have before the court do not match with their statutory rights. Rights and obligations of the parties with each other are determined by the stages of the relations. That is why it is important for the parties to know at what stage their relations are and if there is such relations between them at all.

Despite the fact, that the Civil Code of Georgia draws significant attention on regulating contractual relations there are several important issues that are left unregulated which deals with the very moment of contract formation. Particularly, article 327 of the Code that deals with the moment of contract creation states that contract is only formed when parties agree on essential conditions of the contract. Article 329.1 determines the way how contract is formed which comes down to accept and offer. This is also relevant to almost all European legal systems. However, the Code does not provide explanation what action shall be

considered accept and it determines offer as only a suggestion. It is also ambiguous what shall be considered as essential conditions as its understanding can vary person to person.

In order to better understand the moment of contract formation, this thesis suggests overview of the Civil Codes of Nederland, Germany and France. Moreover, it provides a comparative analysis of those Codes with Georgian legislation. The work also includes practical researches that was carried out by the researches from the University of Pennsylvania. Case law that suggests different notion from doctrinal studies is also discussed. According to those court decisions people's perceptions and expectations have an immense importance in contractual relations.

This thesis tries to go beyond doctrinal studies and analyze the moment of contract formation from people's psychological perspective. Contractual law is a living organism and it is impossible to understand it without people's subjective expectations.

**Key words:** Civil Law, Contract Law, Entering into Force, People's Expectations